№ 102. 17 მაისი, კვირა. 1866—1881 17 მაისი, კვირა. № 102.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თბილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებისა-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე [illegible] მოპირულით ასოზე ნახევარი კაპ. [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებისა“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

**ძმათა კ. და ს. პოპოვებისა**

მ ო ს კ ო ვ შ ი

ამით აცხადებს, რომ მოკლე ხანში ზემოხსენებულ ფირმით თბილისში გაიხსნება კერძოდ და ნარდად ჩაით ვაჭრობა, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში, და ამით აცხადებენ საყოველთაო საცნობათ.

მაღაზიაში იქნება საუკეთესო ჩაი, ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ აწონილი საკუთარს უმთავრეს მაღაზიაში, მოსკოვში. (6—5)

## ქუთაისის ბანკის კრება

სხდომა მერვე, 7 მაისს.

თორმეტი საათის ნახევარზე თავმჯდომარემ გვაუწყა, რომ სხდომა გახსნილიაო.

მეკენჭეთ რიცხვი 837 არის, სულ კენჭების რიცხვი 1047-ა.

დღეს უფრო გარკვეულად დანაწილებულან დასები: მარჯვნით სხედან ლოლობერიძისტები და მარცხნით მათი მოწინაამღდეგენი. თითო დასს თავისი ფალავანთ-წინამძღოლი უზის წინ: პირველს კ. ჩ—ნი და მეორეს ბ. დ—ძე.

როგორც კრებას ეტყობა, ყველანი თანახმანი არიან, რომ გამგეობის და დამფასებელ კომისსიის წევრთათვის სარგებლის (%%) მოკლება ანუ მოუკლებლობა კენჭის-ყრით გადაწყდეს. აი თავმჯდომარეც აცხადებს: „სარგებლების მოკლება თუ მოუკლებლობა დღეს უნდა გადაწყდეს კენჭის-ყრითა“ და მთელი დარბაზი ერთხმივ ჰპასუხებს: — „მოიტანეთ კენჭი!“

გამოიტანეს ყუთი და შეუდგნენ კენჭის-ყრას...

ოთხს საათზე დამფუძნებლებმა გაათავეს კენჭის-ყრა და რიგი რომ მიდგა მესხებლებზე, ამ დროს ერთმა მეკენჭემ მოიტანა ამბავი, რომ ერთ-ერთი დასის წევრნი ურიებს დაემუქრენ, თუ მოსულხართ და კენჭი ჩაგიგდიათო... ჯერ ამას არ გაეთავებინა თავის მბობა, რომ დარბაზში გავრცელდა ხმა, ორი ურია სცემა ერთმა მეკენჭემ ბულვარშიო. ორივე ამბავი, სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა... რამდენიმე მეკენჭე ახალგაზდა, წავიდნენ ურიების მოსაყვანად და დასაცველად... მცველებისაგან გათამამებულნი ურიები აშკარად ახედევენ საზოგადოებას და ისე აგდებენ კენჭს...

მქვს საათზე გაათავეს კენჭის-ყრა და ერთს საათსაც დათვლას მოუნდნენ მკითხველს ტელეგრამმით უკვე შეტყობილი აქვს, რომ 426 კენჭი ამოვიდა გამგეობის და დამფასებელ კომმისიის წევრთათვის სარგებლის დარჩენისკენ და 464 კი სარგებლის სრულიად მოსპობას თხოულობდა. მაშასადამე გამგეობის და დამფასებელი კომმისიის წევრთ სარგებელი ისევ დარჩათ, რადგანაც დამსწრეთა ორი მესამედის აზრი იყო საჭირო, რომ ეს სარგებელი ზემოხსენებულ პირთ მოსპობოდათ, ე. ი. წესდების მე-94 §-ის ერთი ნაწილი შეცვლილიყო.

საღამოს ქალაქის ბაღში შემდეგი ამბავი ისმოდა ჭორად, მაგრამ შემდეგ ეს „ჭორი“ სიმართლე გამოდგა... დღეს დილას ახალ-გაზდობის საუკეთესოთაგანი წარმომადგენელი მისულა ერთს კაცთან, რომელიც ბანკის გამგეობის თავმჯდომარეობაზედ აპირებს კენჭის-ყრას და უთქვამს: „დაანებე წრეულს მაინც თავი მაგ კენჭის-ყრას! ნუ ირცხვენ შენს თავს და ნუ არცხვენ ახალგაზდობასაც, რომლის კანდიდატსაც შენ გიძახიან, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, თავის დღეში არ ყოფილხარ მისი კანდიდატი... თუ გინდა ახალ-გაზდობის მადლობა დაიმსახურო, აი როგორ მოიქეცი: ჩვენ გვინდა კანდიდატად N გამოვიყვანოთ. შენ ხელი აიღე კანდიდატობაზე და მთელი შენი დასით ჩვენს კანდიდატს დაეხმარე, და...

— **Сволочъ молодежь! Я обойдусь безъ нея!** უპასუხებია ბრაზ-მორეულ კანდიდატს, რომელიც დღემდის მართლაც ბოროტად ხმარობდა ახალგაზდობის სახელს და ჩირქს ცხებდა მთელს ახალ-თაობასა...

ეგ „სვოლოჩ მალადიოჟ!“ დღეს გადადის პირიდამ-პირში, და დიდი ხნითაც არ დაავიწყდება საზოგადოებას, როგორც ნიმუში ულირსად წინ წამოყენებული ულირსი კაცის უზრდელობისა და გალაღებული თავ-მოყვარეობისა...

## ახალი ამბები.

კავკასიის მთავარმართებელი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე ოფიციალურად აცხადებს საყოველთაოდ საცნობელად, რომ ის დაბრუნდა თფილისში და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

* *

კავკასიის მუზეუმის დირექტორი ბ. რადდე გაზ. „კავკაზში“ აცხადებს, რომ ეს მუზეუმი 8 ენკენისთვეს გაიხსნებაო, ე. ი. იმ დღეს, რა დღესაც თფილისში გაიხსნება მეხუთე არხეოლოგიური კრებაო.

ზოგიერთ რუსულ გაზეთებში ამას წინათ დაბეჭდილი იყო, რომ მეხუთე არხეოლოგიური კრება თფილისში წელს აღარ იქნებაო, მერმისისთვის გადაიდეაო. ზემოხსენებულ განცხადებიდამ სჩანს, რომ ეს ამბავი ტყუილი ყოფილა, რომ არხეოლოგების კრება დანიშნულ დროს გაიხსნება.

ამ არხეოლოგიურ კრებისათვის

---

«დროების» ფელტონი, 17 მაისი.

## შეხვედრა

(მოთხრობა სიმპსონისა.)

შემთხვევით მე რამდენსამე დღით დავრჩი ერთ ჩვენ (ინგლისის) სამხრეთის ქალაქში. ძრიელ დალონებული ვიყავი, რადგან მთელ ქალაქში ნაცნობი არავინა მყავდა, მეორე დღემდინ უნდა დავრჩენილიყავ აქ და არ ვიცოდი როგორ გამეტარებინა დრო.

— თეატრი მაინც არა გაქვთ?

— რასაკვირველია, რომ გვაქვს! მიპასუხა თავ-გამოდებით სასტუმროს პატრონმა.

— წარმოდგენა იქნება დღეს?

— რასაკვირველია, იქნება.

მე წაველ ბილეთის სასყიდლათ და შევიტყე, რომ არდგენდნენ კომედიას „უცნობს“. პირველ როლებს ასრულებდნენ, აფიშის სიტყვით, ხალხის საყვარელი ტრაგიკული აქტიორები, განთქმულნი ლონდონის თეატრებში. მე იმათი გვარები ვერც ერთი ვერ ვიცან, თუმცა შემიძლიან დავიკვეხო, რომ ლონდონერს თეატრები და მათი მოთამაშეები ზეპირათ ვიცი.

მე მერჩივნა მხიარული რამე მენახა, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, რაც იყო იმას უნდა დავკმაყოფილებულვიყავ.

დილა და დღე გავატარე ქალაქის შენობების შინჯვაში, რომლებმაც არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინეს ჩემ დაღალულ და ნაღვლიან გულზე. ადრე დავბრუნდი სასტუმროში სადილის საჭმელად. დანარჩენი დრო მინდოდა შემეწირნა ლონდონის გამოჩენილ არტისტებისათვის. სასადილო ოთახში, რომ შევედ, დავინახე ჩემთვის მომზადებული სადილი; მაგრამ ჩემი ალაგი სხვას ეჭირა სკამზე იჯდა ვიღაც კაცი, თავი ორთავ ხელებით ეჭირა და დასცქეროდა სუფრას.

— სძინავს, მთვრალია, თუ მწუხარეა ეს კაცი? ვეკითხებოდი ჩემს თავს.

მაგრამ, რა კი სუფრა ჩემი იყო გავბედე გამომეცხადებინა მისთვის ჩემი უფლება. ჩავახველე. ეს ჩემი პირველი განცხადება უპასუხოთ დარჩა. მეორე დახველებამაც ამაოდ ჩაიარა. მაშინ მე იმას მხარზე დავადე ხელი. უცნობმა მაღლა აიღო თავი და, ჩემდა გასაკვირველათ, მე იმაში ვიცან ძვირფასი მეგობარი — ჩარლი კემბელი, რომელიც აგერ ორი წელიწადია დავკარგე.

ჩარლი საჩქაროთ წამოხტა. პირველი სიხარულის მიალერსების შემდეგ, ჩვენ გადავწყვიტეთ ერთად გვესადილნა. დავარაწკუნე ზარი, შევუკვეთე სადილი და როდესაც მარტონი დავრჩით, დავუწყეთ ერთმანეთს გამოკითხვა: — რას ვაკეთებდით იმ ხანში, რაც არ გვენახა ერთმანეთი? ჩემი ანბავი მოკლე იყო.

ახლა ჩარლის რიგი იყო. იმან ამოიოხრა და თავი ჩაღუნა. მე ვუთხარ, რომ გავიგონე შენი ცოლის შერთვა და ომედი მაქვს, ბედნიერი კაცი ხარ-მეთქი: იმან დალონებით გაიქნია თავი.

— რა დაგემართა? ჩვენი მეგობრობა მაძლევდა ნებას გამომეკითხა იმის მწუხარება. იმან მიამბო თავის უბედურება. ეს ამბავი არც გასაკვირველი იყო და არც სამხიარულო.

იმან შეირთო მშვენიერი ქალი. შეირთო სიყვარულით. ჩარლის ბედნიერება პირველში ისეთი იყო, რომელიც ყველა მომაკვდავს არ ეღირსება ხოლმე. მაგრამ ცოლ-ქმრის ხასიათი ერთმანეთს არ მიუდგა. ცოლს უყვარდა თაყვანის-მცემლები და იმათ საზოგადოებაში დროების ტარება; ქმარი კი საშინელი ეჭვიანი კაცი იყო. ყოველ დღე ამის სიყვარული იწამლებოდა საშინელის ჩხუბით და აყალ-მაყალით.

ბოლოს ამათი ერთად ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა და გაიყარნენ.

ჩარლის ცოლი წავიდა დედასთან, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა. სად იყო ეხლა ამის ცო-

რამდენიმე ქართველი ამზადებს მუშაობას; სხვათა შორის დ. ზ. ბაქრაძე, დ. ზ. ფურცელაძე და გ. ე. წერეთელი, რომელიც ამ განზრახვით რამდენიმე ხანით მუშაობდა გელათის მონასტერში და იკვლევდა იქაურ ძველებურ ხელ-ნაწერებსა, მხატვრობასა და ნივთებს.

* * *

ხვალ, ორშაბათს, ქალაქის რჩევას შემდეგ საგნებზე ექნება სჯა:

მოხსენება ქალაქის გამგეობისა ყასპებისა და მეფაეტონების გარდასახადის მოკრებაზედ,

მოხსენება გამგეობისა თათრის მეიდნიდამ თ. სუმბათოვების მამულზე სავაჭრო მოედნის გადატანის შესახებ;

მოხსენება გამგეობისა ნატალია შიოევის ანდერძის თაობაზედ;

მოხსენება გამგეობისა სიონის ქუჩის გასაფართოებლად ადგილების შესყიდვაზედ;

განცხადება ხმოს. ალადათოვისა ზოგიერთ ქუჩების დამდაბლებაზედ;

მოხსენება გამგეობისა აგურხანების თაობაზე და სხვ.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ მირზოევის მემკვიდრებს თავიანთი ამერიკანის (მიტკლის) საკეთებელი ქარხანა გარდაუციათ რიშარისათვის ხუთის წლის ვადით და იმ პირობით, რომ წელიწადში რიშარმა სამი ათასი თუმანი იჯარა უნდა აძლიოს და რაც ამ ხნის განმავლობაში მაშინებს შეიძენს ქარხნისათვის, ყველაფერი პატრონს (მირზოევს) უნდა დარჩეს.

ეს ქარხანა როგორღაც უბედურ დღეზედ არის გაჩენილი: ჯერ მირზოევის ხელში ხან მუშაობდა და ხან არა; ხან ინგლისიდამ მოიყვანა მაშინისტები, ხან რუსეთიდამ მუშები, ხან აქაურები მუშაობდნენ; მაგრამ ისე უთაურად მიჰყავდათ საქმე, რომ პატრონს დიდი ზარალის მეტი არა ეძლეოდა იმ ქარხნიდამ, რომელზედაც ერთ მილიონ მანეთზე მეტი იყო დახარჯული. ბოლოს მიცვალებულ მირზოევმა ფრანცუზი რიშარი გაიხადა ამხანაგათ, ფრანცუზის მაშინისტები მოიყვანეს, მაგრამ აქედამაც არა გამოდნა-რა: კიდევ ზარალი ნახეს. ახლა მთლად რიშარმა იკისრა ქარხნის წაყვანა და ენახოთ-რა გამოვა...

* * *

თფილისის ქალაქის თავი აცხადებს, რომ მიცვალებულ იმპერატორის ალექსანდრე II-ის სახელობაზე საავათმყოფოს გასამართავად თფილისის მეტრაქტირეებმა სიით მოაგროვეს 400 მანეთიო და ქალაქის გამგეობაში წარმოადგინესო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. საგარეჯო, 12 მაისს. რამდენჯერმე იყო მოყვანილი „დროებაში“ თუ რა შევიწროებაშია ივრის ხეობის ხალხი ორი წუნკალა თათრის სოფლების მცხოვრებლებიდგან: ზემო-მუღანლოს, რომელიც მდებარებს სართიჭალის გვერდით, თფილისის მაზრაში და მეორე ქვემო-მუღანლოს ხალხისაგან სიღნაღის მაზრაში.

ამ ხეობაში მცხოვრებთ ან ქვის გული უნდა ჰქონდეს, ან სრულიად არაფერი უნდა ებადოს, რომ ასე გულ-გრილათ უცქირონ თათრებისაგან ჩადენილს ოინებს. გარეშე კაცი რო დააკვირდეს ივრის ხეობის ხალხის გარემოებას, ცხადათ წარმოუდგება წარსული საუკუნეები, როდესაც ლეკები ანუ სხვა მტარვალნი ტომნი დაცემით და ყაჩაღობით იკლებდნენ ქართველების სოფლებს. ხალხმა იცოდა მათი მტარვალობა და ამიტომ ყოველთვის მზათ იყო იარაღით შემოსილი მსწრაფათ მდევარი დაედევნებოდა და დააყრევინებდა დავლას. ეხლა მხოლოდ ის გარჩევაა, რომ ქართველობა დამშვიდებულია, მისი პირველი საქმე მამულის მუშაობაა, მას არა აქვს თოფ-იარაღი და ტყვია-წამალი, რომ სწრაფად დაედევნოს და პასუხი გასცეს უწინდებურათ მტერს. მისი ფარ-ხმალი იფნის სახრეა და ყვირილი: „—გვიშველეთ! გვიშველეთ! გუთნეული ხარი დაგვტაცეს“!

სოფლიდგანაც ვინ გავა მდევარზედ ცარიელი კაცი? თუმცა მამასახლისი და გზირები იწვევენ ყველას მდევრათ, მაგრამ ვის აქვს თავი სასიკვდილო, რომ თათრების წინ, რომლებიც აილანის თოფებით არიან აღჭურვილნი, გაბედონ მდევრათ გასვლა!

აი, ბატონებო, დაწვრილებით მოგახსენოთ რაში მდგომარეობს საქმე: ზემოხსენებული თათრის სოფლების მცხოვრებნი წინეთ აქეთ-იქით ივრის სოფლების მინდვრების ბოლოებზედ ყარაისკენ მოფანტულნი იყვნენ ცალ-ცალკე; ქართველი სოფლების მინდვრებიდგან ყაჩაღურათ იტაცებდნენ ყოველგვარ საქონელს და მიუდიოდათ მტკვარ გაღმა თათრებს სოფლებში და იქ ასაღებდნენ. შეწუხებულ ქართველებმა მიმართეს მთავრობას, რომ ისინი სადმე გარდაესახლებინათ. მთავრობამ ესენი ერთად მოაქუჩა და დაასახლა ზემოხსენებულ ორ სოფელში ზემო და ქვემო-მუღანლოში მახლობლათ ქართველების სოფლებისა. ჩაუყენეს მათ პრისტავი ჩაფრებით.

მანამ პრისტავი სოფელში ედგათ ყაზახებით, ქურდობა და ავაზაკობა შესწყვიტეს. მიჰყვეს ხელი მათაც მუშაობას, როგორც ქართველებმა. ხუთის წლის შემდგომ, როცა პრისტავები და ყაზახები მათის სოფლებიდგან გამოიყვანეს, მათ ისევ ძველებური მიჰყვეს ხელი ყაჩაღობას და ავაზაკობას, ასე რომ ახლა უფრო გზა გაეხსნათ, ვინემ წინეთ; ახლა მათ უკეთესათ იციან ვის სადა აქვს ცხვრის ფარეხები, გომები და ბინები, ვის სად უბია გუთანი. შეურჩევენ დროს, დაესხმიან გუთნეულს და დაირეკამენ; თუ ქართველებმა რამე წინაღმდეგობა გაუწიეს იფნის სახრით ანუ გუთნის ჩევით, თათრები აუტეხენ აილანის თოფებით სროლას, ასე რომ რამდენსამე მოჰკლამენ, რამდენსამე დასჭრიან და გაირეკავენ საქონელს.

ქართველები ზოგნი მორბიან სოფლებში, არ-იქა გვიშველეთ, მდევარიო! ზოგნიც მირბიან თათრების სოფელ მუღანლოში კვალზედ. აი მათ გამოეგებება ქოშებით ალალარი თათარი: „—ეი, ბიჭო! რავინდა? სულზედ ერთი თუმანი მოიტანე შენი საქონელი გიბოვო!“

ამათ გადაწყვეტილი აქვთ ხარზედ ერთი თუმანი გამოართვან და ცხენზედ თხუთმეტი ანუ ორი თუმანი, კამბეჩზედ თხუთმეტი მანეთი, ვითომც საპოვნელა! გლეხი მორბის თავის სოფელში, არ-იქა მიშველეთ ფული მასესხეთ, ხარები ვიპოვნე და საპოვნელას მთხოვენ. საცოდავი სესხულობს ფულს ან პარაპეტასაგან, ან ხეჩატურასაგან, რომელშიაც უკვეთამს ღვინოს და პურს. ამ სახით იბრუნებს თავის საქონელს.

ამ გზას ადგანან საწყალი გლეხები, რომლებსაც არ შეუძლიანთ დევნა და დავი-დარაბა. თათრებმა იციან ეს კარგათ და ხშირად საწყლების გუთნეულს იტაცებენ ხოლმე.

ასეთი შემთხვევა ნუ იფიქრებთ იშვიათი იყოს: ყოველს სოფელში წელიწადში ოცი-და-ორმოცი ხდება. თუ შეძლებულისა შეცდომით დაიპარეს როგორმე და დაედევნა კვალზედ, მაშინ შუა კაცებათ მორიგებაზედ გამოდიან ისევ ის ალალარები, ზოგჯერ თვითონ სიღნაღის და მათი პოლიციის პრისტავიც ხოლმე მოარი-

---

ლი, არ იცოდა. არც ერთხელ არ მოუწერნია ცოლისათვის წერილი. სჩანდა, რომ გაყრას არ მოეტანა მოსვენება ჩარლ ქემბლისთვის.

— აქ რას აკეთებ? ვკითხე პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ.—აქ რისთვის მოსულხარ?

ჩარლი შეკრთა.

— იცი, ჩემო ძველო მეგობარო, მიპასუხა იმან, რა უნდა მექნა ჩემი მარტოკა თავისათვის? მე ვეძებდი საქმეს, მინდოდა გართობა. გახსოვს, რა რიგათ მაქებდნენ, თეატრის მოყვარეების წარმოდგენებში რომ ვითამაშებდი ხოლმე? თუმცა მე ვიცოდი, რომ ამითი გადავდიოდი საშუალო რიგიან საზოგადოებიდგან მაწანწალა ცხოვრებაში, მაგრამ მე მაინც დავძლიე ჩემი თავი და შეველ აქტიორად. და შემიძლიან დავიკვეხო, რომ ვთამაშობ მშვენიერათ.

მე ვუთხარი, რომ იმის სახელი არსად შემხვედრია თეატრის აფიშებში.

— რასაკვირველია, არ შეგხვედრებოდა, სიცილით მიპასუხა: სცენისთვის მე ამოვირჩიე სახელათ რანდალ გარვუდი და ამ სახელით მე ვარ გამოჩენილი აქტიორი.

— მაშ აქ რათა ხარ?

— იქ გამითავდა ვადა და მე შევიტყე, რომ მანგელის ტრუპპაში ალაგი გაიხსნა და მინდოდა იმ ალაგის დაჭერა. აქ მოველ, ვნახე ანტრეპრიონერი და შევიტყე, რომ საჭირო აღარა ვარ... ასე რომ ჩემი აქ მოსვლა გამიცრუვდა და შემდეგი პოეზდით ვაპირობ წასვლას.

ჩვენ სადილზე ვისხედით. ამ დროს ოთახში შემოვარდა ერთი ხნიერი კაცი საშინელის აღშფოთებულის სახით. იმას ეცვა ჭუჭყიანი შავი ტანისამოსი და თავზე ეხურა დიდი ჩალის შლიაპა. ქუდი მოიხადა და გამოუჩნდა ისეთი პრიალა თავი, როგორც ბილიარდის ბურთი.

— ბატონო გარვუდ, თქვენ ისევ აქა ბრძანდებით? უნდა გამიწიოთ ერთი დიდი დავალება. თუ ღმერთი გწამთ, მიბრძანეთ გითამაშნიათ „უცნობში“?

— რამდენჯელმე, უთხრა ჩარლიმ.

— ჩემი თამაშობა ამ კამედიაში არ არის ურიგო და ჩემი როლის გასამეორებლათ რამდენიმე წამია საჭირო. მაგრამ თქვენ რათა კითხულობთ ამას?

— მე რათა ვკითხულობ?! დაიყვირა აღშფოთებულმა ანტრეპრინიორმა, რათა? ბენსლეი ავათ გახდა, აღარ შეუძლიან ითამაშოს... ის მთვრალია, მე დარწმუნებული ვარ... დღეს მე დიდი ხარჯი მაქვს... ბევრი აფიცრები იქნებიან. ორკესტრი .. აფიშის გამოცვლის დრო აღარ არის... არ შემიძლიან თეატრის დახურვა, დავიღუპები. ერთი სიტყვით, შეგიძლიანთ აიღოთ „უცნობის“ როლი? ფასზე არ გევაჭრებით. რაც ვნებავთ, მოგცემთ. მაპატიეთ, დილას რომ უარი გითხარით. ეს საქმე ჩემი დამღუპველი იქნება, შველა თქვენ ხელშია...

იმან გაიწმინდა ოფლი ისეთის უბედურის შეხედულობით, თითქო რომ იმის სიცოცხლე მართლა ამაზედ იყო დამოკიდებული.

— შეგიძლიანთ მიშოვნოთ საჭირო ტანისამოსი? ჰკითხა გარვუდმა.

— ბენსლეი სწორეთ თქვენი სიმაღლეა.

— მაშ კარგი, უპასუხა ჩემმა მეგობარმა.

— ხომ მოგეხსენებათ, რომ რეპეტიციისთვის დრო აღარა გვაქვს. ერთ საათ შემდეგ წარმოდგენა უნდა დავიწყოთ.

— მე ვიცი ჩემი როლი, დაწყნარებით უთხრა ჩარლიმ.

— ოჰ? თქვენ მიხსნით მე სიკვდილიდგან! სიხარულით შეჰყვირა ანტრეპრინიორმა,—მაშ თქვენ მოხვალთ?

— თხუთმეტი წამის განმავლობაში მე თეატრში ვიქნები. გახარებული მენგლი გავარდა ოთახიდგან. იმის სახე ბრწყინავდა.

— შენ გინდა ურეპეტიციოთ ითამაშო ეგ ძნელი როლი? ვკითხე მე ჩარლის.

— ვითამაშებ და, იმედი მაქვს, როგორათაც ავასრულებ, წყნარათა სთქვა იმან.

ჩვენ გავშორდით ერთმანეთს. ი[illegible] წავიდა თეატრში, თავის როლის წასაკითხავათ და მე დავრჩი ყავის დასალევათ.

გებენ, ხუთში ათს ვადაახდევინებენ ქურდს და ჩააბარებენ დამკარგავს. რას კარგავს ქურდი? ის იმლამსვე წავა გლეხებს, დასტაცებს, გარეკავს მტკვარს გაღმა, თათრების სოფელში გადასცვლის და მორეკავს სხვებს. საგარეჯოს მთავარს ოთხჯერ დასტაცეს გუთნის საქონელი, ძროხა და ცხვარი ამ ორი წლის განმავლობაში, ოთხჯერვე დაიჭირა ქურდები, მაგრამ ოთხჯერვე მორიგებით გაათავებინეს საქმე აღალარმა, მათმა მამასახლისმა და თითონ მათმა პრისტავმა, რომელზედაც წინეთაც იყო მოხსენიებული „დროებაში."

ამ ნაირათ, ისეთ ნაირათ, არიან დაგეშილნი ქურდობაში და ყაჩაღობაში, როგორც კარგი მწევარი კურდღელზედ. ერთ ღამეს არ გაატარებენ, რო საქონელი მიდვრებიდგან ორ-სამ ადგილას არ დაიტაცონ და ერთმანეთში მთელმა სოფელმა არ გაიყოს ნაქურდალი, გადახდაშიაც მთელი თათრის სოფელი იღებს ხოლმე მონაწილეობას.

მკითხავთ: რატომ არ ჩივის სასამართლოში ქართველობა და არ აჭერინებენ ქურდებს? კარგათ იცით ჩვენი სასამართლოების საქმე, ერთ საქმეზედ ორ-სამ წელიწადს ათრევენ გლეხს, იმდენს მოაცდენენ საქმეს, რომ დანაკარგზედ მეტი ეღირება, და ამიტომ ისევ ურჩევნია თავი დაანებოს. შეგვიძლიანთ გამოიკვლიოთ რამდენი საქმე ყოფილა ამ ხეობიდგან გამომეძიებელთან საქონლის დატაცებაზედ, კაცების დახოცვაზედ თათრებიდგან, და ჯერაც არ გათავებულა.

რომ ნამდვილათ ყოველ ღამ იტაცებენ საქონელს, მოგიყვანთ რამდენსამე ფაქტს დასამტკიცებლათ: 3 მაისს ამა წელსა მთავარ ისონ ზარსიევს დასცეს გუთნიდგან სამი ხარი და ერთი ცხენი, რომელმაც ყიდვით დადებულის მათის ტაქციით დაიბრუნა მესამე დღეს. მაისის 4 ზიორგი წმინდის მამასახლისს დასტაცეს გუთნის საქონელი. მაისის 5 ღამით დაეცნენ ტიტიკო უსულადი-შვილის გუთანს, სახრეებით და ჩეკით წინააღმდეგობა გაუწიეს, რისთვისაც უსულადიშვილი მოკლეს პილანის თოფით და სამი ულელი ხარი და ერთი ცხენი წაასხეს. რა ხდება სხვა სოფლებში, ამაზედ სრული ცნობა სართიჭალის პრისტავს უნდა მოეკითხოს.

აი, ამ მდგომარეობაშია ივრის ხეობის ხალხი და ყურის მგდებელი არავინ არის. შიგნით კახეთშიაც იყვნენ თათრები, მაგრამ დაამშვიდეს, ქართლში იყვნენ ოსები, ისინიც დაამშვიდეს; და რა გახდა ეს ივრის ხეობა, რო ასეთი ანარხია არსებობს?

ამას წინეთ ტფილისის მაზრაში იყო დანიშნული რევიზორათ ბ. კოზლიაკოვსკი, ყოველმა საზოგადოებამ ივრის ხეობისამ შესჩივლეს თათრებისაგან მიყენებული მწუხარება, იმანაც აღუთქვა მთავრობასთან მოხსენება და ჯერ აქნობამდე არაფერი განკარგულება არ მოუხდენია თათრების სადმე გადასახლებაზედ. ახლა, როგორც შევიტყე, მთელ ივრის ხეობაში საზოგადოებებს სურთ აღმოარჩიონ დეპუტატები და პირ-და-პირ გაგზავნონ კავკასიის ნამესტნიკის დროებით მოადგილესთან თ. ლევან მელიქოვთან, უნდა შესჩივლონ თავიანთი მწუხარება მიყენებული თათრებისაგან და სთხოვონ, რო ისინი შორს სადმე გადაასახლონო და რაც გადასახლებაზედ მთავრობას ხარჯი მოუვა, საზოგადოებები კისრულობენ.

ამას თანავე სასოფლოთ გუთნი-დედებს დაერიგოსთ თითო ბერდანკის თოფი და მისი ფული მთავრობამ ნაწილ-ნაწილ გადახდევინოს. აეკრძალოთ ქართველებს ივრის ხეობაში მცხოვრებთ აღარ იყოლიონ მწყემსებათ თათრები, რომლების ბინებზედ ნათესაობით და მეგობრობით ყაჩაღები აფარებენ თავს.

ამაზედ დიდი იმედი აქვთ თ. ლევან მელიქოვისა, რომელიც, რასაკვირველია, დიდ ყურადღებას მიაქცევს და მსწრაფლს განკარგულებას მოახდენს, რითაც დაამშვიდებს ამ შეწუხებულების ხალხის გულს.

ა. ქავთელი.

# რუსეთი

— სახალხო განათლების მინისტრს ბარონ ნიკოლაის 5 მაისს გაუგზავნი სამასწავლებლო მაზრების უფროსებისათვის (პოპეჩიტლებისათვის) ცირკულიარი, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია:

„სახალხო განათლების სამინისტროს არ შეუძლია იმყოფებოდეს მარტო ჩამწყვდეულ კანცელიარიულ მდგომარეობაში და ყური არ ათხოვოს საზოგადოების აზრს. სამასწავლებლო მაზრების უფროსები მუდამ უნდა იყვნენ დაახლოებულნი ადგილობრივ მთავრობასთან და ადგილობრივ საზოგადოების წრესთან, უნდა იყვნენ შუა კაცად ადგილობრივ მოთხოვნილებისა და ცენტრალურ სამმართველოს შორის."

შესახებ უნივერსიტეტისა მინისტრი იმედოვნებს, რომ ის უწესოებები, რომელნიც უფრო გარეგან მიზეზებისა გამო ხდება, სამუდამოდ მოისპობა ახალ-გაზდებში: მტკიცედ უნდა შესრულდეს კანონი და 1863 წლის წესდებაო, რომლითაც განსაზღრულა დამოკიდებულება პროფესორებისა უნივერსიტეტთან და სტუდენტებთან.

საშვალ სასწავლებლებმა სწავლას გარდა უნდა ჩაუნერგონ მოსწავლეთ გულში შრომის სიყვარული, უნდა გაუხსნან აზრი, რჯულისადმი პატივისცემა, წესიერების, კანონებისა და თავის მოვალეობის ასრულების ჩვეულება; საჭიროა: ჰკუიანი წესიერების შემოღება, გიგიენური მოთხოვნილების ასრულება და წესიერად შრომის განაწილება. აუცილებელი საჭიროა სკოლისა და ოჯახს შუა იყოს კავშირი, სასწავლებლის კარები გახსნილი უნდა იყოს ყველა მსურველთათვის.

შესახებ დაბალ სასწავლებლებისა მთავრობას ნება აქვს მისცეს ერთ გვარი მიმართულება მათ და იქონიოს მათზედ საზოგადო კანტროლი. დირექტორები და ინსპექტორები უნდა იყვნენ ამ შემთხვევაში მთავრობის აგენტებათ სასწავლებლების წარმატებისთვის და არა საზოგადოების თვით მოქმედების დამაბრკოლებელათ; ესენი უნდა ხელს უმართავდნენ, უნდა ახალისებდენ და პატივს სცემდნენ საზოგადოების ამ გვარ მიმართულებას, ე. ი. სასწავლებლებისათვის თვითმოქმედებას. მუდამ იმას გრძნობდნენ, რომ ემსახურებიან საზოგადოების საქმეს და არ არიან ამათი მბრძანებელნი.

— გაზეთ „ნოვოე ვრემიას" მიუღია დეპეშა პარიჟიდამ, რომლითაც აცნობებენ, რომ ერთმა აქაურ გაზეთის *Gaulois*-ს რედაქციამ გამართა რუსეთის ებრაელების სასარგებლოთ ხელის მოწერაო და უკვე შემოსულა

---

რამდენიმე ხანის წინათ, ფარდის ახდამდინ, მე ვიჯექ თეატრში და გული მიშფოთავდა: მე მეშინოდა, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე მეგობრებში, რომ ის არ შერცხვენილიყო.

თეატრი სავსე იყო. აფიცრები ალაგობრივი პოლკიდგან, ქალები, რომელნიც მოეზიდნათ სამხედრო ტანისამოსის ბრწყინვას; პარტერი, გარელეია სავსეა ხალხით. რასაკვირველია, დღეს თეატრის დახურვა მანგელისთვის დიდი ზარალი იქნებოდა.

დაიწყო წარმოდგენა. გული მიძგერდა. მოვიდა დრო „უცნობის" გამოსვლისა. ჩანდალ გარეული გამოვიდა, დიდის ტაშის-კვრით მიეგებენ ხალხი.

ჩარლი მშვენიერი კაცი იყო; იმის პირის-სახე და დალონებული შეხედულება შეჰფეროდა როლსა და ხალხს მოეწონა. ხმა კარგი ჰქონდა, მიხვრა-მოხვრა წყნარი, თამაშობა მშვენიერი. მეც მომეწონა და დავმშვიდდი.

შემდეგ სცენაზე გამოვიდა კლარა კარმიკელი „მისს ვალერის" როლში. ხშირი ტაში ამტკიცებდა, რომ ეს საყვარელი იყო ხალხისა.

ეს იყო მშვენიერი, ყმაწვილი, გრაციით სავსე და კარგი მოთამაშე თუმცა აფიშებში აცხადებდნენ, რომ ეს იყო ლონდონის თეატრში მოთამაშე, მაგრამ მე მაშინვე შევატყვე, რომ ჯერ დახელოვნებული არ იყო თავის საქმეში. ჩემი გონება ისე იყო მიპყრობილი ჩარლისისაკენ, რომ დიდი ყურადღება არ მივაქციე ამ ქალს.

პიესა ძრიელ გძელი იყო. მეოთხე მოქმედების დამლევს პირველათ შეხვდნენ ერთმანეთს „უცნობი" და „მისს ვალერი"...

ჩემს დღეში არ დამავიწყდება ეს შემთხვევა. საშინელის, გაკვირვებულის, მწუხარე და მწარე თვალებით შეაცქერდა აქტიორი თავის დამნაშავე ცოლს. გასაკვირველი დაკივლება აქტრისისა თავის გაუპატიურებულ ქმრის დანახვაზე და გულის-შემოყრა ერთი იყო. ყოველიფერი ეს ისე ნამდვილათ იყო წარმოდგენილი, რომ ხალხი გაჰკვირდა და ტაშის-კვრას ბოლო არა ჰქონდა..

მოქმედების გათავების შემდეგ, მხარზე ხელი დამადო ვიღამაც და მთხოვა წავყოლოდი კულისებში.

მე შემიყვანეს მისტერ ვავურდის ოთახში. ის აღშფოთებული დადიოდა... მანგლი გულ-შემოყრილი ხელს ისვამდა თავის მოტელეპილ გოგრაზე.

— ტყუილათ სწუხდებით! ამბობდა ჩარლი.—მე აღარ შემიძლიან ვითამაშო!.. აღარ გამოვალ სცენაზე... ეგ ქალი ჩემი საკუთარი ცოლია! გესმის, ცოლია! დიახ, ცოლია! მე აღარ მინდა იმასთან შეხვედრა!.. გაოცებული ვარ... გაგზავნეთ ვინმე მაყურებლებთან ბოდიშის მოსახდენათ.

— მისს კარმიკელიც ამბობს, გაცხარებული იძახდა ანტრეპრიონერი, არ გავალ სცენაზეო, ძრიელ დავილალეო... რა ვქნა? რა ვქნა? რომელ წყალში გადავარდე?

— ბოდიში მოიხადეთ და ვოდევილი დაიწყეთ,—ეუბნებოდა ჩარლი.

— გამიგონეთ, უთხარი მე ანტრეპრიონერს,—წადით, დაიყოლიეთ როგორმე მისს კარმიკელი... მოიხმარეთ ყოველი თქვენი გამოცდილება, შეეხვეწეთ, რომ იმან დაივიწყოს თავისი პიროვნობა და დაასრულოს პიესა. უთხარით, რომ თუ არ ითამაშებს, ხალხი იმას შეიძულებს და სხ. და სხვ. ერთის სიტყვით, როგორც იყოს, ათამაშეთ.

მანგელი გავიდა. მეც ყოველი ღონისძიება ვიხმარე, რომ დამეშვიდებინა ჩემი მეგობარი და ერთი კიდევ შეხვედროდა თავის ცოლს, ერთის წამით, მხოლოთ ერთის წამით და მერე განშორდებით საუკუნოთ...

ბოლოს როგორც იქნა ძლივს დავიყოლიე.

მე დავრჩი კულისებში, რომ მენახა დასასრული ამ ორ გვარი თამაშობისა.

დადგა უკანასკნელი შეხვედრის დროს. ცოლისა და ქმრის აღშფოთება საშინელი იყო. ხმის კანკალით იყო ნათქვამი უკანასკნელი სიტყვები და როდესაც მისს ვალერი დაეცა გულზე შერიგებულ ქმარს და მერე დაეშვა ალაგზე, ჩარლიმ დაიჩოქა და გიჟივით აკოცა ტუჩებში თავის ცოლსა...

ფარდა დაეშვა. ასტყდა აღტაცებული ტაში. ცოლი და ქმარი ხელიხელში გაყრილნი გამოვიდნენ და მაყურებლებს თავი დაუკრეს.

საჭირო აღარ არის გიამბოთ, თუ რა მოხდა? იმ სალამოსვე ისინი ვნახე ერთად მსხდომნი. ეჭვი აღარ იყო, რომ თეატრმა შეარიგა ესენი.

მეორე დღეს წაველ ლივერპულში. იქ მომივიდა ჩარლის წერილი, რომელშიაც მწერდა, რომ შემდეგ ბევრის ფიცისა და ერთმანეთის რწმუნებისა შერიგდნენ და დაიწყეს ახალი, ბედნიერი ცხოვრება.

ამ ხელის მოწერიდამ ათი ათასზე მეტი მანეთი.

— სამართალის სამინისტროს, როგორც ამბობს გაზეთი „რუსკი ვედომოსტი," განზრახვა აქვსო ამის შემდეგ სიკვდილით დასჯა მოხდეს სატუსაღოს ეზოში, თანადასწრებით პროკურორისა, სამმართველოს სეკრეტარისა, ექიმისა, ადგილობრივ პოლიციის მმართველისა, დამნაშავეს ვექილისა და ექვსი ადგილობრივ საპატიო მცხოვრებლებისა, ადგილობრივ ქალაქის თავისაგან დაპატიჟებით.

— ელიზავეტგრადში არეულობას უფრო სხვა შედეგი ჰქონია, ვინემ აქამდინ იწერებოდნენ. მოკლული არის ერთი კი არა, როგორც აქამდისინ სწერდნენ, — ოცი; ამას გარდა ქუჩებზე, სარდაფებში, მოედნებზედ და სამიკიტნოებში უნახავთ დაჭრილები და გალახულები. პირველად სწერდნენ, დატუსაღებული არის ოთხასი კაციო; ეხლა ნამდვილ ცნობით შვიდ-ასი გამოდის.

— შვიდ მაისს, ზაჩინოში გამოთხოვებია ხელმწიფე-იმპერატორის, სამზღვარ გარეთ წასვლის წინეთ, გრ. ლორის-მელიქოვი.

— ახლად აღმოჩენილ საიდუმლო სტამბაში უპოვნიათ ოთხი ფუთი დინამიტი, შემუშავებული ასაფეთქი მასალა და ყუმბარა და ამასთან ბარათი, რომლის დამწერიც თხოულობდა, რომ გაყიდონ ეს ნივთები და ფულები ღარიბებს დაურიგონ...

# განცხადებანი

ადვოკატმა

**ევგენი დიმიტრის-ძემ ტირომიროვმა**

მიიღო ნებართვა თბილისის ოლქის სასამართლოდამ სასამართლო საქმეების წარმოებაზედ, როგორც მომრიგებელ, აგრეთვე ოლქის სასამართლოშიაც; იღებს თავის თავზედ მსურველთათვის საქმეებში დარიგების მიცემას, ყოველგვარი საქმის ქაღალდების შედგენას, აპელაციისას და კასაციის საჩივრების დაწერაო, საქმეების დაცვას მომრიგებელ და ოლქის სასამართლოში აპელაციის განყოფილებაში. განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეების დაცვას იკისრებს კავკასიის აქათა მხრის ყველა ქალაქებში, ღარიბების საქმეებს უფულოდ დაიცვავს. სასამართლო პალატაში ქალაქს გარედამ შემოსულ საქმეების დაცვა სისხლის სამართლის დეპარტამენტში. მიიღებს აგრეთვე თავის თავზე ქალაქს გარეშე მყოფ საქმის დამცველებიდამ და კერძო პირებიდამ მონდობილებას შესახებ მათი საქმეების ქ. თბილისში სასამართლოებში და ყოველ გვარ ადმინისტრატიულ განყოფილებებში. ყველა მონდობილებაები ასრულდება სიჩქარით.

მიიღებს პირადათ მოსალაპარაკებლათ დილის 8 საათიდამ 11 საათამდინ და საღამოს 5—8 საათამდინ.

ადრესი: არსენალის ქუჩა, ველიკი კნიაზის საჯინიბოს პირ-და-პირ, თ. არღუტინსკის დოლგორუკოვის სახლები, № 6. (3—1)

### თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

# ბანკის გამგეობისაგან

თფილისის გუბ. თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, 17 თებერვალს 1881 წელს უმაღლესად დამტკიცებულის წესდების მე-16 მუხლის ძალით, აცხადებს, რომ ამ 1881 წლის 13 ივნისს, შუადღეზე, ქალაქს თბილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. ურლანოვის სახლებში № 3, იქნება საზოგადო ვასყიდვა, განუმეორებელად, ქვემოხსენებულ პირთ უძრავ მამულებისა, რომელთაც არ შემოუტანიათ თავის დროზე ხვედრი გადასახადი ამ ბანკიდამ აღებულის სესხისა ბანკის წესდების §§ 13, 14, 15, 17, 18, და 19 მუხლებით დადგენილი:

**არეშოვი, ნიკოლოზ სიმონის-ძე:** ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი თან ადგილი სივრცით 26 ოთხ-კუთხი საჟ. და 1 არშინი. ქ. თბილისის 1 განყოფილების მე-5 უჩასტკაში. თავნი ვალი 3,127 მან. 48 კაპ., შემოსატანი 379 მან. 80 კაპ. სულ სამ-ათას ხუთას შვიდი მან. და 28 კაპ.

**ალენიკოვისა, სალომე იაგორის ასული:** ორ-სართ. ქვით-კირის სახლი, თან ორ-სართულიანივე ქვით-კირის ფლიგელი და ადგილი 88 საჟ. $\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი არშინი. თფ. 1 განყოფ. 1 უჩასტკაში, დავიდოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 3,615 მან. და 76., შესატანი 257 მან. 37 კაპ., სულ—სამი ათას-რვაას სამოც-და-ცამეტი მან. და 30 კაპ.

**სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული:** ა) ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, ბ) ორი სამ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, ორი ორ-სართ. ქვით-კირის დუქანი და გ) თერთმეტი თითო-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, თან ადგილი 276 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში: ა) 1 განყოფ. მე-7 უჩასტკაში და 2 განყოფ. 14 უჩასტკაში, ჩუღურეთში. თავნი ვალი—16,270 მან. 96 კაპ. შემოსატანი—1075 მან. 90 კაპ. სულ—ჩვიდმეტი ათას სამას ორმოც-და-ექვსი მან. და 86 კაპ.

**სლინკო ანნა ივანეს ასული:** ორი ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, თან ადგილი 111 $\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. თფ. 2 განყოფ. 11 უჩასტკაში, ელისავეტის ქუჩაზე, თავნი ვალი—18,078 მან. 83 კაპ., შემოსატანი—965 მ. სულ—ცხრამეტი ათას ორმოც-და-სამი მან. და 83 კაპ.

**გაბუნია, მერაბ იაგორის-ძე:** ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი დუქნებით, თან ადგილი 125 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი—2,711 მან. 83 კაპ., შესატანი 180 მან. 95 კა., სულ—ორი-ათას-რვაას ოთხმოც-და-თოთხმეტი მან. და 78 კაპ.

**მირუმოვი, არშაკ ოდანეზის-ძე:** ა) სამ-სართულ. ქვით-კირის სახლი და ბ) ორი ერთ-სართულიანი სახლი, თან ადგილი 241 $\frac{1}{2}$ ოთხ-კუთ. საჟ. თფ. 2 განყოფ. 14 უჩასტკაში ავლაბარში. თავნი ვალი—3,255 მან. 31 კაპ., შემოსატანი—302 მან. 44 კაპ., სულ—სამი ათას ხუთას ორმოც-და-შვიდი მან. და 75 კაპ.

**ზარაფოვი სტეფანე იაგორის-ძე:** ა) სამ-სართულ. ქვით.-კირის სახლი სამ-სართულიანივე ფლიგელით და ბ) ორ-სართულ. ქვით-კირის სახლი სარდაფი, თან ადგილი 279 $\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. თფ. 2 განყოფ. 10 უჩასტკაში, ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე. თავნი ვალი—36,560 მან. 82 კაპ. შესატანი 1,919 მან., სულ—ოც-და-თვრამეტი ათას ოთხას სამოც-და-ცხრამეტი მან. და 82 კაპ.

**ზაზიევი დავით პოპოვის-ძე:** ერთ-სართ. სახლი დუქნით, თან ადგილი—27 $\frac{1}{5}$ ოთხ-კუთხი საჟ. თფ. 1 განყოფ. 1 უჩასტკაში, დავიდოვის ქუჩაზე. თავნი ვალი—365 მან. და 61 კაპ., შესატანი—39 მან. 44 კაპ., სულ—405 მან. 5 კაპ.

**დავიდოვი, გიო დავითის-ძე:** ორ-სართულ. ქვითკირის სახლი, თან ადგილი—50 საჟ. თფ. 1 განყოფ. 1 უჩასტ. უსახელო ქუჩაზე. თავნი ვალი—1645 მან. 24 კაპ., შესატანი—108 მან. 51 კაპ., სულ—1753 მან. 75 კაპ.

**პავლიევი, იაკობ სიმონის-ძე:** ორ-სართულ. ქვითკირის სახლი, თან ადგილი—72 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისში 1 განყოფ. 5 უჩასტკაში, ნემეცების ქუჩაზე თავნი ვალი—5,477 მან. 37 კაპ. შესატანი—773 მან. 93 კაპ., სულ—6251 მან. და 30 კაპ.

**სლინკო, ეკატერინა ივანეს ასული:** სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და სხვა შენობებით, თან ადგილი 313 $\frac{3}{4}$ ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, 1 განყოფ. 1 მიხაილოვის უჩასტკაში. თავნი ვალი—25,609 მან. 15 კაპ., შესატანი—2,449 მან. 78 კაპ., სულ—2,815 მან. და 93 კაპ.

**ფუდინოვი, ისაკ ნიკიტის-ძე:** ორი სამ-სართ. ქვითკირის სახლი ორის სამ-სართულიან ფლიგელით, ადგილი—156 ოთხ-კუთხ საჟენი და 7 არშ. თფილისში ნარაშნისა და სააზნაურო ქუჩების კუთხეში. თავნი ვალი—17,126 მან. 77 კაპ., შესატანი 1,338 მან. 10 კაპ., სულ—18,464 მან. 87 კაპ.

**ციციანოვი, დავით ივანეს-ძე:** ცარიელი ადგილი, სივრცით—300 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში 2 განყოფ. 11 უჩასტკაში. თავნი ვალი—1,172 მან. 18 კაპ., შესატანი—68 მან. 24 კაპ., სულ—1,240 მან. 42 კაპ.

**ალექსეევ-მესხიევი, მიხეილ დიმიტრის-ძე:** სამი ნაჭერი მიწა 178 დესიატინა 840 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. და უეზდში. სოფ. ახალ-დაბას. თავნი ვალი—3,911 მან. 7 კაპ., შესატანი—180 მან. 60 კაპ., სულ—4,091 მან. 67 კაპ.

**ერისთავი გიორგი გიორგის-ძე:** სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 243 დესტ. და 1263 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. თელავის მაზრაში, ქისტიაურს. თავნი ვალი—7,822 მან. 15 კაპ., შესატანი—350 მან. 20 კაპ., სულ—8,172 მან. 35 კაპ.

**შარვაშიძე, გრიგოლ ალექსანდრეს-ძე:** სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები და ტყე, 1093 დესიატ. 950 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. და უეზდში, სოფ. დრეს, წვერს და ცხრულეთს. თავნი ვალი—10,102 მან. 74 კაპ., შესატანი—447 მან. 72 კაპ., სულ—10,550 მან. 46 კაპ.

**ავალიშვილი ივანე ზაალის-ძე:** სახნავ-სათესი და სამოსახლო ადგილები, 151 დესიატინა და 300 საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ბრეთს. თავნი ვალი—8,827 მან. 59 კაპ., შესატანი—572 მან. 40 კაპ., სულ—9,399 მან. 99 კაპ.

**ციციანოვი, კირილე ედიშერის-ძე:** სახნავ-სათესი, საბალახე ადგილები და ტყე, 840 დესიატ. 600 საჟ. თფ. გუბ. და უეზდში, სოფ. ახლალალოუს (ივივე მამაი). თავნი ვალი—15,741 მან. 26 კაპ., შემოსატანი—1,433 მ. 30 კაპ., სულ—17,174 მან. 56 კაპ.

**კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული:** სახნავ-სათესი, საბალახე ადგილები და ტყე, 104 დესიატ. 1200 საჟ. თფ. გუბ. და უეზდში, სოფ. ბოძეს. თავნი ვალი—2,591 მან. 48 კაპ., შესატანი—191 მან. 24 კაპ., სულ—3,142 მან. 72 კაპ.

**ვახვახოვისა, ეკატერინე გრიგორის ასული:** სახნავ-სათესი ადგილი და ტყე, 302 დესიატ. 555 საჟ. თფ. გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლთან. თავნი ვალი—2,960 მან. 17 კაპ., შესატანი—135 მან. 91 კაპ., სულ—3,096 მან. 8 კ.

**ქარუმიძე, ივანე პაატას-ძე:** სახნავ-სათესი ადგილი 34 დესიატ. 1320 საჟ. თფ. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. თორტისს. თავნი ვალი—986 მან. 73 კაპ., შესატანი—53 მან. 40 კაპ., სულ—1,040 მან. 13 კაპ.

**ერისთავი, გრიგორ პავლეს-ძე:** სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები და ტყე, 422 დესიატ. 1160 საჟ. თფ. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ზვარებს. თავნი ვალი—3,958 მან. 16 კაპ., შესატანი—273 მან. 50 კაპ., სულ—4,231 მან. 66 კაპ.

**თუმანოვისა, ბარბარე ივანეს ასული:** სახნავ-სათესი ადგილიბი და ტყე, 292 დესიატინა და 1502 ოთხ-კუთხსი საჟ. თფ. გუბ. და უეზდში, სოფ. წოდორეთს. თავნი ვალი—6,895 მან. 84 კაპ., შესატანი—301 მან. 19 კაპ., სულ 7,197 მან. 3 კაპ.

**ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის-ძე:** სახნავ-სათესი საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე, 1,292 დესიატ. და 1,600 საჟ. თფ. გუბ. და უეზდში, აბულმაყს. თავნი ვალი—5,953 მან. 64 კაპ., შესატანი—372 მან. 20 კაპ., სულ—6,325 მან. 84 კაპ.

(3—1)

(დასასრული შემდეგში.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Мая 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.